

ქოელ პომრა

მოვაჭრეები

(პიესაში „ მოვაჭრეები “ , რომელიც წარმოადგენს თეატრალურ იგავს, მოვლენები მაყურებელს მიეწოდება ერთდროულად მთხრობელი ქალის თხრობის და სხვადასხვა მოქმედი პირების მუნჯი სცენების მონაცვლეობით. პიესა აგებულია ამ ორი განზომილებით, რომელიც ერთ მთლიანობას მხოლოდ სპექტაკლის ჩვენების დროს ქმნის. სცენები მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობენ მთხრობელის თხრობის პარალელურად, მაგრამ არა როგორც ილუსტრაცია, არამედ როგორც შევსება ან ნათქვამში დაეჭვება. გმირის მიერ წარმოთქმული ტექსტი, არ არის ობიექტური, უფრო მეტიც, ის შესაძლოა კატეგორიულად უარყოფლი იქნეს იმ მოვლენებით, რომლებიც ამ დროს ხდება სცენაზე. მოთხრობის ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია. მკითხველმა თავად უნდა განჭვრიტოს სპექტაკლის ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანი მხარე და საკუთარი წარმოსახვის საშუალებით შეავსოს იგავის არსი. ქ. პ.)

1.

ხმა, რომელიც გესმით, -
ჩემი ხმაა.

სად ვიმყოფები ამ წუთას, როცა თქვენ გესაუბრებით, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დამერწმუნეთ.

თქვენ მე მხედავთ,

აი იქ,

ეს მე ვდგები,

ეს თითქოს ვლაპარაკობ...

აი, ეს მე ვლაპარაკობ...

მე მისი დაქალი ვიყავი,

თქვენ ხედავთ მას, ის ჩემს გვერდით ზის.

მისი დაქალი.

ვიცი, ეს სიტყვა ნაკლებად გასაგებია,

მაგრამ მე მისის დაქალი ვიყავი.

ის ფიქრობდა, და მაშასადამე მეც,

რომ სავსებით ბუნებრივია მიცვალებულებთან ურთიერთობა.

მხოლოდ მიცვალებულები არსებობენ დანამდვილებით, - ამბობდა ის.

ცხოვრობენ ნამდვილი ცხოვრებით.

მისთვის მხოლოდ მიცვალებულები ცოცხლობდნენ.

ჩანს ჩვენ მიცვალებულებს ვესაუბრებოდით.

ჩვენ მიცვალებულებს ვესაუბრებოდით

და ძალიანაც ხშირად.

2.

თუ დავფიქრდებით, თუ რა ნამდვილად კატასტროფული იყო
მისი იმჟამინდელი მდგომარეობა,
არავის მოუნდებოდა მის ადგილას ყოფნა.
განსაკუთრებით მას შემდეგ,
რაც მამამისი, რომელიც მთელი ძალებით ცდილობდა გაემხნეებინა იგი,
გარდაიცვალა.

ბინა,
სადაც ის ცხოვრობდა,
თქვენ ამას ვერ წარმოიდგენთ,
იყო მატერიალური სიცარიელის განსახიერება, რომელზე საშინელიც არაფერი იყო,
რადგან ეს სიცარიელე იყო...
შესვლისთანავე გეუფლებოდათ სირცხვილი და სევდა
იმის წარმოდგენით, რომ ვინმე შეიძლება ცხოვრობდეს ასეთ პირობებში.
დიახ, რადგან ეს ნამდვილად იყო სიცარიელე,
რომელიც გაშინებს.
ისიც კი, რომ მას ეყო სისულელე ეყიდა ეს ბინა,
უკვე მეტყველებდა თავის თავზე და არანაირ ჩარჩობებში არ ეტეოდა.
უფულობა მძიმე ტვირთად აწვა მას.
მისი ვალებით სულ მცირე სპორტული მანქანის ყიდვა შეიძლებოდა.
ესღა აკლდა ქალს,
რომელიც იტანჯებოდა ცხოვრებისათვის აუცილებელი ნივთების უქონლობით.
თუმცა მართვის მოწმობაც კი არ ქონდა...

მისი მრავალსართულიანი
იყო ყველაზე მიმზიდველი რაიონში,
ის არაფრით არ მოგაგონებდათ ზოგიერთ ძველ შენობას რეგიონში,
რომლებიც სილატაკით ყარდნენ.
მანაც ამიტომ აირჩია ეს მრავალსართულიანი, რადგან ის ცოტათი უკეთესი იყო
სხვებზე
და იქ ცხოვრობდნენ მასავით ბინების მფლობელები.

ჩემი დაქალი ოცდამეერთე სართულზე ცხოვრობდა,
რაც საშუალებას აძლევდა შორს გაეხედა წინ,
და ლიფტიც სახლში
ყველაზე თანამედროვე იყო.
მაგრამ ამას გარდა,
ამას გარდა,
მას არაფერი ქონდა,
არაფერი, გარდა ვალებისა .
ეს გავდა ძველი დროების სილატაკეს,
ულტრათანამედროვე შეფუთვით.
დიახ, ეს გასაოცარი იყო.

რაც მას ყველაზე მეტად აკლდა,
ეს იყო სამუშაო,
და მან იცოდა ეს.
თუ ადამიანი არ მუშაობს,
ის ვერ გრძნობს, რომ ნამდვილად ცხოვრობს,
ის უკვე აღარავინაა
საკუთარ თვალში.
რომ აღარაფერი ვთქვათ
თვიდან თვემდე თავის გატანაზე.
დრო,
დღითი დღე ნელა მიიზღაზნება, -
მეუბნებოდა ის,
როგორც წვალემა,
როგორც წამება,
ყოველდღიური წამება.

მე შესანიშნავად ვაცნობიერებდი, როგორ გამიღიმა ბედმა,
რომ სამუშაო მქონდა,
განსაკუთრებით როცა ვფიქრობდი ჩემს დაქალზე.
რა მძიმეა აღმოჩნდე მის მდგომარეობაში:
გარდა ფინანსური სირთულეებისა, რასაც ის განიცდიდა,
არ იღებდა არანაირი აღიარებას ყველაფერი იმ კარგისათვის, რაც შეეძლო ცხოვრებაში
გაეკეთებინა.

3.

მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ მქონდა სამსახური,
რომელიც ფეხზე დგომის საშუალებას მაძლევდა
და მეხმარებოდა არ დამეკარგა საკუთარი თავის პატივისცემა.
მე მართლაც ბრწყინვალედ ვაცნობიერებდი, თუ როგორ გამიღიმა ბედმა.
არავის შეეძლო აეხსნა რატომ,
მაგრამ ბავშვობიდან მე ცოტათი უფრო იღბლიანი ვიყავი სხვებზე.
და რა თქმა უნდა ამიტომ,
იმიტომ რომ მე ბედმა გამიღიმა სამსახურთან დაკავშირებით,
მე ხანდახან უხერხულობას ვგრძნობდი ჩემი დაქალის წინაშე,
მინდოდა მისი შებრალება,
შებრალება ჩემი დაქალისა, რომელსაც ჩემსავით არ გაუმართლა
და რომელსაც ამის გამო
უწევდა ებრძოლა აღუწერელი სირთულეების წინააღმდეგ.
გადაულახავი წინააღმდეგობების, ისეთი მარტოხელა ადამიანისათვის, როგორც ის
იყო,
ადამიანისათვის, რომელიც თავს მიიჩნევდა უარყოფილად,
უსარგებლოდ
და არაფრის მაქნისად.

4.

ხანდახან დილაობით,
როცა ვდგებოდი სამსახურში წასასვლელად,
ეზოში კი ჯერ კიდევ სიბნელე იყო,
ისიც იღვიძებდა და ჩემთან მოდიოდა,
რათა ჩემს გვერდით ყოფილიყო.
- არანორმალური ხარ, ვეუბნებოდი მე,
შენ ხომ შეგეძლო გეძინა და ტკბილი სიზმრები გენახა.
ის წუთი,
ზუსტად ის წამი, როცა მე უნდა წავსულიყავი და დამეტოვებინა ის,
მართლაც ყველაზე მძიმე იყო,
ძალზე მძიმე,
ყველაზე მძიმე.
მე ვტოვებდი მას,
შესანიშნავად ვიცოდი რითი იქნებოდა დაკავებული მთელი დღის მანძილზე,
ანუ სინამდვილეში არაფრით,
მაშინ როცა მე,
მე მექნება ჩვეულებრივი დღე.
დიახ,
ეს ძალიან მძიმე იყო.

5.

ხანდახან ის სტუმრად ეპატიჟებოდა თავის ოჯახს,
უბრალოდ, უმიზეზოდ.
მის ნათესავებს მაინცადამაინც არ მოსწონდათ მასთან სტუმრობა, ეს შესამჩნევი იყო.
ჩემს დაქალს უხდებოდა მუდმივად ახალ ახალი საბაზის გამოგონება,
სულ უფრო და უფრო მიმზიდველის.
სიმართლე რომ ითქვას, მისი ბინა ისეთი ცარიელი,
ისეთი ჩამოფხავებული
და სევდიანი იყო,
როგორც ოთახი უდაბნოში,
რომელიც არ გიხმობს მხიარულებისაკენ.
მხოლოდ ტელევიზორს შემოქონდა რაღაც სიცოცხლე.
მაგრამ ყველაზე მეტად გეუხერხულებოდა ის,
რომ ჩემს დაქალს არ შეეძლო თავის შეკავება,
მას არ შეეძლო თავის შეკავება,
რომ როგორც მას ეჩვენებოდა, ყველაზე ხელსაყრელ მომენტში, ისევ და ისევ არ
შეეწუხებინა და
და მორიგ ჯერზე არ ეთხოვა ფული სესხად -
როგორც მას ეჩვენებოდა, ყველაზე შეუმჩნეველი სახით...
ამით ის დას მუდმივად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა,
და შედეგად,
თანაგრძნობის მაგიერ,
რომლის უნარიც მის დას ალბათ გააჩნდა,

და სრულიად გულგრილი რჩებოდა.

რა თქმა უნდა მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ჩემი დაქალის ყველა მოთხოვნილება...

დიახ,

მართლაც იყო წუთები, რომელთაც გაჭირვებით ვუძლებდი.

და მე ცოტათი ვკიცხავდი კიდეც ჩემს დაქალს იმისათვის, რომ ის გვაიძულებდა დავსწრებოდით ამ ყველაფერს,

არა მხოლოდ მე,

არამედ სხვებსაც.

6.

ერთ საღამოს მან მთელი ოჯახი მიიპატიჟა განსაკუთრებული მიზეზის გამო: მის შვილს ცხრა წელი შეუსრულდა.

დამ და ბიძამ ამჯერადაც ვერ შეძლეს უარი ეთქვათ მიწვევაზე,

რადგან რა თქმა უნდა, ბავშვის დაბადების დღე - წმინდათა წმინდაა.

მთელი ოჯახი შეკრებილი იყო და ის უკვე აპირებდა შვილის გამოყვანას,

რომელიც თავის ოთახში იცდიდა,

როცა მოხდა ის,

რაც გარდაუვლად უნდა მომხდარიყო უკვე რამდენიმე დღის წინ...

ჩამოწვა უკუნი...

ჩვენ ჯერ გვეგონა, რომ მთელს სახლში გამორთეს ელექტროობა.

მაგრამ მალევე მივხვდით, რომ მოვლენა კერძო ხასიათს ატარებდა,

და რა თქმა უნდა, მაშინვე ჩავწვდით მიზეზს...

რა დარტყმა იყო ჩემი დაქალისათვის,

მას ხომ ასე ძალიან უნდოდა რაღაც განსაკუთრებულად ექცია ეს საღამო.

მთელი მისი ფინანსური და მატერიალური სიდუხჭირე

კიდეც ერთხელ გამომზეურდა ყველასათვის,

რადგან ელექტროობა მხოლოდ მას გაუთიშეს.

და დაბადების დღე, ბავშვის ეს დღესასწაული, ჩაიშალა.

მისი ბიძა ძალზე გაბრაზდა.

- შენ მართლაც არანაირი წარმოდგენა არ გაქვს რეალურ ცხოვრებაზე, - თქვა მან, ეს არაფრად ვარგა.

ის მართალი იყო,

და მას უფრო მეტად შერცხვა.

7.

ერთხელაც ჩემი დაქალის ბიძამ და დამ გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვენ.

გვერდიდან ეს კავშირი არც თუ ბუნებრივი ჩანდა,

უფრო უცნაურიც კი,

მაგრამ ჩემი დაქალის ბიძა ჩემი დაქალის მამას და დას მხოლოდ გარე ნათესავად ერგებოდა.

ამრიგად ეს ქორწინება, სავსებით მისაღები იყო,

და რაც მთავარია,

ეს იყო ქორწინება დიდი სიყვარულით.

8.

აი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე,
მიუხედავად ბედნიერებისა, რომ მქონდა მუდმივი ადგილი საწარმოში,
სადაც მუშაობდნენ ჩვენი რაიონის თითქმის ყველა მაცხოვრებლები,
მე მაინც ვაწყდებოდი ერთ პატარა პრობლემას.
ეს პატარა პრობლემა ეხებოდა ჩემს ჯანმრთელობას
და უთუოდ დაკავშირებული იყო
პროფესიულ საქმიანობასთან.
როგორც კი სამუშაოდან სახლში მივიდოდი,
ზურგში მიჩნდებოდა რაღაც უცნაური ტკივილი,
და ვაღიარებ, რომ ლოგინად ჩავვარდებოდი ამ ტკივილისაგან,
რომ არა წამალი-სასწაული, რომელიც გამომიწერა ექიმმა
და რომელსაც მცირე შეღავათი მაინც მოქონდა.

მე მგონია, რომ ჩემი დაქალის გარეშე,
მისი თანადგომის გარეშე,
რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი ამ ყველაფრის გადატანას.
ეს ნამდვილია.
მე დავრჩებოდი სახლში და დავკარგავდი სამსახურს,
რადგან ასეთია ცხოვრება...
მე ვიქნებოდი ჭერზე თვალებმიბჯენილი მწოლიარე,
მაშინ როდესაც დანარჩენებისთვის საწარმოში ცხოვრება გაგრძელდებოდა, მაგრამ
უჩემოდ.
აი, როგორი საშინელი ფიქრები მტანჯავდნენ.

9.

მაშინ, როცა მისმა ფულადმა პრობლემებმა
მთლად თავბრუდამხვევ მაშტაბებს მიაღწიეს,
მე ვურჩიე შეხვედროდა ერთ ქალს, რომელიც ცხოვრობდა იმავე
მრავალსართულიანში, მაგრამ ცოტა უფრო ზევით, ოცდამეცხრე სართულზე.
ეს ქალი, როგორც ჩანს არ მუშაობდა,
მაგრამ ასევე ფლობდა საკუთარ ბინას და
იყიდა ძალზე ლამაზი მანქანა.
ამბობდნენ, რომ დღის მანძილზე მასთან ბევრი მამაკაცი დადიოდა.
სიმართლე გითხრათ, მე ამის არ მჯეროდა.
ჩვენ გადავწყვიტეთ გვესასხა მისგან თანხა, რომელიც ტოლი იყო ჩემი დაქალის ბინის
კრედიტის ერთი თვის შესატანისა.

მაგრამ სწორედ ამ დროს
ჩემმა დაქალმა მაგრძნობინა, რომ სურდა დამლაპარაკებოდა.
მას მოეჩვენა, როგორც მითხრა, რომ ეს ქალი ჰგავდა მის დას...

მე ვაიძულე ორჯერ გაემეორებინა ნათქვამი.

პირადად მე ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობდი ამ ორ ქალს შორის.
მაგრამ ჩემს დაქალს რაღაც ტიკი ჰქონდა - მიელო ერთი ადამიანი მეორედ, და მისი მრავალი ისტორია ყოველთვის მარწმუნებდა, რომ მას ყოველთვის როდი ქონდა ნათელი წარმოდგენა ცხოვრებაზე.
მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო,
რომ ამის შემდეგ მას წასვლა მოუწია.
მან თქვა, რომ შეეშინდა,
შეეშინდა ამ ქალის, რომელიც მისი სიტყვებით,
მის დას ჰგავდა.

10 .

ერთხელ მას მოეჩვენა კიდეც, რომ ვიღაც,
უფრო სწორედ, ჩემს საამქროში მომუშავე
ერთი ქალი,
მას ჰგავდა, პირდაპირ ვერ გაარჩევდი, წყლის ორი წვეთით ჰგავდა მას.
მან იგი როგორღაც საღამოს შენიშნა, როცა ცვლის შემდეგ მე მხვდებოდა.
რა თქმა უნდა, მეორე დღეს, მე ყველგან დავეძებდი მას, დაჟინებით ვაცქერდებოდი
ჩემს ირგვლივ მყოფ გოგონებს სახეში, მაგრამ უშედეგოდ, ვერანაირი მსგავსი ვერ
აღმოვაჩინე.
რადგანაც, ცხადია, ჩემს სამსახურში არავინ არ ჰგავდა მას.
ის მაინც ხშირად ცდებოდა საგნებისა და ადამიანების თავისებურ აღქმაში.
არა, მას ყოველთვის არ ქონდა ნათელი წარმოდგენა რეალურ ცხოვრებაზე.

11 .

მაგრამ ყველაზე რთული გასაგები მისთვის იყო ის,
თუ რატომ არ აყავდათ სამსახურში „ ნორსილორში “ , სადაც მუშაობდა ჩვენი
რაიონის ფაქტიურად ყველა მაცხოვრებელი.
იმ დღეს ვერავინ შეძლო აეხსნა როგორ მოახერხა მან, უცხო ადამიანმა, შეეღწია
საწარმოში.
ყველა შესასვლელ-გასასვლელი მკაცრად იყო დაცული.
ჩემი დაქალი უკიდურეს სასოწარკვეთაში იმყოფებოდა,
შემლილობის ზღვარზე.
მას უბრალოდ სურდა გაეგო, როგორც ამბობდა,
რა განასხვავებდა მას საწარმოში მომუშავე სხვა ადამიანებისაგან.
ყოველ ჯერზე, როცა ის ცდილობდა მოწყობილიყო „ ნორსილორში “ ,
ყოველთვის როცა მას ამოწმებდნენ, რათა ენახათ გამოდგებოდა თუ არა ის რაიმე
სამუშაოსთვის,
უარი ელოდა, არ შეეძლოთ მისი საწარმოში მიღება.
მე კი ვიცოდი, რომ სამუშაო, რომელსაც ჩვენ ვასრულებდით, არც თუ უბრალო იყო,
რომ ის მოითხოვდა სიზუსტეს და მეთოდურობას.
ზუსტად იმ თვისებებს, რაც ყველაზე ნაკლებად ახასიათებდა ჩემს დაქალს.

იმ დილით

საჭირო გახდა მისი დის გამოძახება, როლელიც ადმინისტრაციაში მუშაობდა და მისი ბიძის, საამქროს უფროსის, რათა ვინმეს დაემშვიდებინა ჩემი დაქალი და დაერწმუნებინა, რომ დაეტოვებინა საწარმოს ტერიტორია. უნდა ითქვას, რომ ამ ინციდენტმა ხელმძღვანელობის თვალში არც თუ კარგად წარმოაჩინა იგი.

12.

ამის შემდეგ დადგა დღე, როცა მის ცხოვრებაში მოხდა ახალი მოვლენა. მოვლენა იმდენად გასაოცარი, რომ შეუძლებელს გავდა. ერთხელაც ჩემმა დაქალმა წარმოგვიდგინა საკმაოდ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით. ყველაზე მეტად შეგვაშფოთა მისმა დაჟინებამ, რომ ეს მისი ვაჟი იყო. მისი სიტყვებით, ეს ბიჭი იყო შვილი, რომელიც მან დიდი ხნის წინ გააჩინა მეტად უცნაურ და იდუმალ გარემოებებში. და აი, ახლა ამ კაცმა იპოვა ის და მასაც მოუნდა მასთან ურთიერთობის აღდგენა... მან შემოგვთავაზა ამ დღიდან ჩვენც მოვპყრობოდით მას, როგორც მის შვილს.

ოთახში ჩამოწვა ხანგრძლივი მეტყველი დუმილი. ვიღაცამ ჩაახველა, როგორც კინოში, როცა ყველას უხერხულობა იპყრობს. სამწუხაროდ, ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად შელახა ჩემი დაქალის რეპურაცია, როგორც ქარაფშუტა, ჩათვალეთ, უპასუხისმგებლო ადამიანისა, რომ არ ითქვას არაგონიერისა. განა უცნაური არ არის მოისმინო ბავშვის დაბადების ისტორია რომელიღაც ბარში. არა მგონია, რომ ჩემს დაქალს როდესმე ეცრუოს ეშმაკობის ან ბოროტი განზრახვის გამო. ამასთან ის თავადაც თვლიდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც კი არავინ მოუტყუებია, მეც კი. ვიღაცეები თვლიდნენ, რომ ეს ე. წ. შვილი, ახლახან გამოვიდა ციხიდან. შემოწმება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. ბოლოს და ბოლოს ყველას აქვს უფლება ცხოვრება თავიდან დაიწყოს. ერთი რამ ხცადი იყო: ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი მაინც ბებერი იყო, რომ ჩემი დაქალის საშოდან დაბადებულ იყო.

13 .

რაც დროის შემდეგ ერთმა მორიდებულმა გოგონამ შესთავაზა ჩემს დაქალს შეხვედროდნენ ჩვენს რაიონში მდებარე ერთადერთ ბარში. ჩემი დაქალი მას არ იცნობდა. გოგონას სიმორცხვე შთამბეჭდავი იყო. მან თქვა, რომ მისთვის ცნობილია რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ჩემი დაქალი. და შესთავაზა მას ფინანსური დახმარება საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში... ჩემი დაქალი გაოგნებული იყო. მან უცბად ვერც მოიფიქრა რა ეპასუხა. ჩემმა დაქალმა უთხრა, რომ ცოტა დაფიქრება ჭირდებოდა.

ყველაზე მეტად მას სურდა გაეგო, ასე რატომ ცდილობდა ეს ახალგაზრდა ქალი მის დახმარებას, მაგრამ ისინი ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და გოგონამ შესთავაზა მეორე დღეს შეხვედრა.

წასვლისას ჩემმა დაქალმა მითხრა, რომ მან თითქოს მსგავსება შენიშნა, - მისი ცნობილი მომენტი, -

მსგავსება ამ გოგოსა და დიდი ხნის წინ გარდაცვლილ დედამისს შორის.

14.

ჩემს დაქალს არასდროს ტოვებდა იმის იმედი, რომ და მოვიდოდა დასახმარებლად და სულ ცოტა ფულს მაინც ასესხებდა.

ჩემი დაქალის და საყვედურობდა მას უმწეობის გამო, რომელიც მისი უსასრულო ვალები გასტუმრებას შეეხებოდა.

მან გადაწყვიტა აღარასოდეს შეესმინა მისი თხოვნები.

და შეუვალი რჩებოდა თავის გადაწყვეტილებაში.

და აი დადგა ის დღე,

სწორედ ის დღე, როცა ჩემმა დაქალმა დაინახა დედამისი მას შემდეგ, რაც იგი გარდაიცვალა.

ის ბარის მაგიდის უკნიდან გამოჩნდა.

ხელში მას მჭკნარი ყვავილები ეჭირა,

დედა შეჰყურებდა მას და მთელი ძალით გულშემატკივრობდა.

15.

სიმართლე გითხრათ, მე არც თუ კარგად მახსოვს, მართლაც მოხდა თუ არა ეს ყველაფერი ჩემს თავს, ჩვენს თავს.

ეხლა ეს მოგონებები უცნაურნი ჩანან.

თითქოს სინამდვილეში არც არაფერი ყოფილა.

და მე ეს მხოლოდ მგონია.

მე მგონია, რომ იყო.

თავისი არსით ხომ ეს ყველაფერი შეუძლებელია.

და როგორ ვიცინოდით.

რამეთუ,

უნდა გამოვტყდე,

ამაში საჭიროა გამოვტყდე,

ჩვენ გულიანად ვიცინოდით.

16.

თავად მე, ვცხოვრობდი მოპირდაპირე მსგავს სახლში,

და რაც მთავარია, არც ასეთ სუფთაში, როგორც ის მრავალსართულიანი, სადაც ის ცხოვრობდა.

მის სახლამდე რომ მიმეღწია, უნდა გადამეჭრა ქუჩა

და ლიფტით ავსულიყავი ოცადამეერთე სართულამდე.

ჩვეულებრივ მე მივდიოდი ხოლმე მასთან, მაგრამ ხდებოდა ისეც, როცა ის

ჩამოდებოდა ჩემთან.

17.

როგორღაც საღამოს

ჩემმა დაქალმა გამიზიარა თავისი

ბვირფასი აზრები.

ის თვლიდა ჩვენს გარემომცველ სამყაროს არარეალურად.

ჩვენ მხოლოდ გვგონია, რომ ვცხოვრობთ ამ სამყაროში, ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ მასში სრულიადაც არ ვცხოვრობთ...

მე პირველად მოვისმინე ცხოვრებაში რაღაც ამდაგვარი.

ნამდვილ სამყაროს, მისი აზრით, სიკვდილი წარმოადგენდა.

აზრი სიკვდილზე მე არ მაშინებს, ამბობდა ის, რადგან მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დავიწყებთ ჩვენ ნამდვილ სიცოცხლეს...

ერთხელაც, ისიც საღამოთი,

მან პირველად შემომთავაზა ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტი და გავსულიყავით კავშირზე საიქიოსთან, ანუ ნამდვილ სამყაროსთან.

ჭეშმარიტებამდე მიღწევა არაა მარტივი,

და ჩემმა დაქალმა გამაფრთხილა, რომ წინ შესაძლოა დიდი დაბრკოლებები გველოდა.

მაგრამ მაშინაც კი თუ საიქიო, - ის სამყაროა, რომლისაც ყველაზე ბოლოს უნდა

გვეშინოდეს, მოგველის, თქვა მან, გადავლახოთ გონების ცნობილი წინააღმდეგობა.

რაღაც შენი სამუშაოს მსგავსი,

როცა მთელი შენი სხეული ეწინააღმდეგება მოძრაობებს,

რომლებიც შენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიმეორო...

იმ საღამოს, მტანჯველი მოლოდინის შემდეგ,

მიცვალებულები ჩნდებოდნენ

ტელევიზორის ეკრანზე...

იმ საღამოს

ხელი მოგვემართა,

ნიშანი მოგვცა სრულიად განსაკუთრებულმა მიცვალებულმა - ჩემი დაქალის მამამ.

ჩემი დაქალი უბრალოდ გაგიჟდა სიხარულისგან.

ჩვენ ვუყურებდით მას

და შეგვეძლო მასთან ურთიერთობა ჩემი ტელევიზორის ეკრანის საშუალებით...

ხდებოდა ისიც,

რომ მიცვალებულები,

მაგალითად ჩემი დაქალის მამა,

ცხადად მოდიოდნენ ჩვენთან...

აქ, ჩვენს შორის,

ჩემს ბინაში ნახვა ჩემი დაქალის მამის,

რომელიც ნამდვილად არ იყო ცოცხალი,

ჩემთვის რაღაცნაირად უცნაური იყო.

რამდენიმე წლის წინ, „ნორსილორში“ მომხდარი ავარიის დროს, მოხდა აფეთქება და ჩემი დაქალის მამა დაიღუპა. სულ რამდენიმე თვეა აკლდა პენსიაზე გასვლამდე. ამ ამბავმა ძლიერ იმოქმედა ჩვენზე.

ამ ადამიანს ისე უყვარდა თავისი საქმე.

მცირე ნუგეში იყო იმაზე ფიქრი, რომ ის გარდაიცვალა იქ, სადაც გაატარა თავისი ცხოვრების საუკეთესო წუთები, ე. ი. საწარმოში.

მაგრამ იმ საღამოს მე გავიგონე, როგორ უთხრა ჩემმა დაქალმა მამამისს რაღაც, რამაც მე კიდევ უფრო მეტად შემაძრწუნა.

მე მოვისმინე როგორ უყვებოდა ჩემი დაქალი მამამისს თავის მდგომარეობაზე „ნორსილორში“.

რომელიც, მისი თქმით, ყოველდღიურად უკეთესობისკენ მიდის.

მას აქვს თანამდებობა საწარმოში, ამბობდა ის.

და აი აქ მე მივხვდი, რომ ჩემი დაქალი არ ეუბნებოდა მამას სიმართლეს საქმის არსის შესახებ.

ჩემი დაქალი ატყუებდა მამამისს.

არწმუნებდა რა მას, რომ მუშაობს „ნორსილორში“.

მაგრამ რატომ?

მაშ რილათი განსხვავდებოდა ჩემი დაქალისათვის ნამდვილი სამყარო ყალბისაგან?

ახლა მე უკვე აღარ ვიცი რა ვიფიქრო იმ დროებაზე.

ერთადერთი რაშიც ჯერ კიდევ დარწმუნებული ვარ, და ისიც არც მაინცდამაინც, ეს ჩემი დაქალის მამის გარეგნულ მსგავსებაში მის ძმასთან, ჩემი დაქალის ბიძასთან, რაც სხვათა შორის, მუდამ მაინტრიგებდა, რადგან როგორ უნდა აგეხსნა ეს?!

ეს ორი მამაკაცი არ იყო ერთი სისხლის.

ეს ორი ძმა არ იყვნენ სისხლისმიერი ძმები.

იმ საღამოს ჩემი დაქალი უყურებდა ჩემს ტელევიზორს და გვიანობამდე ელაპარაკებოდა მამამისს.

18.

მეორე დღეს ჩემმა დაქალმა მთხოვა მასთან შემეველო,

რათა მენახა მისი ახალი შენაძენი.

კერძოდ,

არაჩვეულებრივი ახალი ტელევიზორი.

რა საჭირო იყო ასეთი ხარჯი?

როცა მას თავად გასახლება ემუქრებოდა.

და როცა საწოლს, რომელზეც ეძინა მის ბავშვს, არ შეიძლებოდა საწოლი რქმეოდა.

ამაზე ფიქრით შემოვბრუნდი

და დავინახე,

დიახ, მე დაზუსტებით შემიძლია ვთქვა,

რომ მე დავინახე ჩემი დაქალის მამა,

და ვიცი, რომ ჩემმა დაქალმაც დაინახა იგი.

შეამჩნია რა შემოსული და, ჩემი დაქალი მიხვდა თავის შეცდომას.

იმედგაცრეება უდიდესი იყო.
ჩვენ მერამდენედ გაგვასულელა გარეგნულმა მსგავსებამ.

ჩემს დაქალს ბიძამისის დიდი თანხა ემართა.
იმ დილით კი ქარაფშუტულად წაიტრაბახა
ახალი ტელევიზორის შეძენის გამო დის წინაშე,
რომელიც სინამდვილეში არც ისე ბოროტი იყო.

ხანდახან საჭიროა გაჩუმება.

იქნებ ჩემი დაქალი სრულ ჭკუაზე არ იყო?
სწორედ ამას ამტკიცებდა ბიძამისი, როცა პირისპირ დავრჩით.
ეს აზრი დიდ ტანჯვას მაყენებდა.

ჩემი დაქალის გარდაცვლილი მამა და ბიძა გარეგნულად მართლაც ძალიან გვანდნენ
ერთმანეთს.

ამაში, ხაზს ვუსვავ, მხოლოდ ამაში სავსებით ვეთანხმებოდი ჩემს დაქალს.
ის გაოგნებული იყო: როგორ შეიძლება, რომ გარეგნულად ასე მსგავსი ორი
ადამიანი ასე გამსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.
ერთი - ასეთი კარგი, მეორე - ასეთი ცუდი.
ის ამის გამო ტიროდა.

19.

მუშაობისას, ხშირად გადავავლებდი ხოლმე გონების თვალს
იმ მოვლენებს, რომლითაც ვცხოვრობდი სამსახურის გარეთ.
თვალს ვავლებდი ჩემი და ჩემი დაქალის საუბრებს ამ ცხოვრებაზე,
რომლითაც როგორც მე მეჩვენება, ჩვენ ვცხოვრობთ და რომელიც თითქოსდა
ნამდვილია,
და სიკვდილზე, პირიქით, ყველაზე ნამდვილზე, უფრო მეტიც, რომელიც არის
კიდევ თავად ცხოვრება...

აღბათ, მე სულ უფრო ჩქარა ვიღლებოდი
და ტკივილი ზურგში თითქმის აღარ მანებებდა თავს.
ხანდახან ის მაღლა ამოდიოდა, თითქმის ბეჭებამდე,
და მე მიხდებოდა მომეთმინა,
მომეთმინა დღეების და თვეების მანძილზე,
კბილებილის კბილზე დაჭერით, რათა არ მეყვირა ამ ტკივილისაგან...
იმისთვის რომ როგორღაც გამემხნეებინა თავი, ცხადია საკმარისი იყო გამეხსენებინა
ყველა ისინი, ვინც უმუშევარი იჯდა,
ვისაც ჩემსავით არ გაუმართლა...
ასეთი აზრები მშველოდნენ...

მაგრამ მძიმე იყო,
დიახ,
მძიმე,
ხანდახან,

ყველაფრის მიუხედავად...

ნამდვილი ცხოვრება თუ არანამდვილი.

20 .

ზურგის ტკივილი ისეთი აუტანელი გახდა,
რომ სამსახურის შემდეგ მე უკვე აღარ შემემძლო სახლიდან გამოსვლა.
ყველაზე უსიამოვნო კი ის იყო, რომ უკვე აღარ შემემძლო სხვისი დახმარების გარეშე
ცხოვრება.

როცა შეტევა მეწყებოდა, მთელი ჩემი სხეული იჭიმებოდა და ხევდებოდა,
მაგალითად, შეიძლება დავცემულიყავი და დავრჩენილიყავი მწოლიარე საკუთარ
სამზარეულოში.

საბედნიეროდ ასეთი შეტევები მხოლოდ სახლში მემართებოდა.

ჩემი დაქალი ნამდვილი საყრდენი იყო ჩემთვის.

სალამოები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ერთ საღამოს ჩემი დაქალი იძულებული გახდა ჩემი თავი ჩაებარებინა მისთვის,
ვისაც ის ძველებურად თავის უფროს შვილს ეძახდა, თუმცა მას არავინ უჯერებდა.
მე ამან ცოტა გამაკვირვა.

მე მას კვლავ არასაკმარისად ვიცნობდი. ისიც „ნორსილორში“ მუშაობდა, მაგრამ იქ
დაახლოებით ოცი ათასი ვმუშაობდით.

მის წარსულზე ძალზე უცნაური ხმები დადიოდა,
ხმები ციხეზე,

ზოგიერთები კი ამტკიცებდნენ, რომ იცოდნენ რატომ გაასამართლეს:
მკვლელობისათვის, ქალის მკვლელობისათვის...

ეს უბრალო რამე როდია.

ჩვენ რა თქმა უნდა, არაფრის გადამოწმება არ შეგვეძლო,
მაგრამ სიმპატია მის მიმართ არ მქონდა.

ერთად გატარებული საღამოების წყალობით,

პატიოსნად გამოგიტყდებით,

მე მასში დავინახე ადამიანი,

უფრო გულისხმიერი, ვიდრე იყვნენ ნაწილი იმ მამაკაცებისა, რომლებიც
მუშაობდნენ ჩემთან საწარმოში.

ერთ საღამოს პირველად მოხდა რაღაც ისეთი, რისი ახსნაც ვერ შევძელი საკუთარი
თავისთვისაც კი,

მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა.

მისი თანდასწრებით გადავიტანე ტკივილის რამდენიმე შეტევა.

და მაინც, სწორედ ამ დღეს ვთვლი იმ გზის დასაწყისად, რამაც იმ კატასტროფამდე
მიგვიყვანა,

რომელმაც ამდენი უბედურება დაატრიალა

და გამოიწვია ჩემს დაქალთან კავშირის საბოლოო გაწყვეტაც კი.

არ ვმაღავ, პოლიტიკა არ მაინტერესებს,
მაგრამ ერთხელ ადგილობრივი აჩვენები ტარდებოდა,
და ჩემი დაქალის შორეულმა ნათესავმა, რომელსაც ჩვენ ცოტათი ვიცნობდით,
საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა.
ის მოდიოდა ადამიანებთან სახლში,
რათა გაეცნო მათთვის თავისი ეგრეთ წოდებული პროგრამა
იმ შემთხვევისათვის, თუ კი მას აირჩევდნენ.

ჩვენ ეს მოგვწონდა,
ჩვენ ხომ პირველად მოგვეცა საშუალება გავცნობოდით პოლიტიკურ მოღვაწეს.

ის მართლაც განსაკუთრებული ადამიანი აღმოჩნდა,
რომელიც მრავალ ტალანტს ფლობდა, რაშიც ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით.
მას, როგორც არავის, შეეძლო აეყოლიებინა ხალხი
და თვითონაც ძალზე გატაცებული იყო საკუთარი საქმით.
ყველაფერ ამას ჩემს საღამოებში სასიამოვნო განცდა
და რაღაც სიცოცხლის მაგვარი შემოქონდა.
ერთერთი ასეთი საღამოს დასასრულს სწორედ იმ მორცხვმა გოგონამ, რომელიც
ყველაში უხერხულობას იწვევდა თავისი სიმორცხვით,
მთხოვა დავხმარებოდი მას კვლავ შეხვედროდა ჩემს დაქალს.

- რატომ უნდოდა ამ ახალგაზრდა ქალს რაღაც მიეცა? გაეცა?-
შევეკითხე მას, მან არ იცოდა რა ეპასუხა ჩემთვის.
ჩვენ მაინც ცოტა უცნაურად მივიჩნიეთ ეს.
მეორე დღეს, როცა მე ისევ მარტო დავრჩი ჩემი დაქალის ე. წ. უფროს შვილთან,
ისევ მოხდა რაღაც,
რისი ახსნაც წესიერად არ შემეძლო საკუთარი თავისთვის,
მაგრამ "არაფერსაც" ვერ ვუწოდებდი მას.

მე არ ვიცოდი,
როგორი სიტყვებით აღმეწერა მომხდარი,
რადგან დარწმუნებული არ ვიყავი იმაში, რომ რაღაც მართლაც მოხდა.
და მე ვერ ვიპოვე სიტყვები,
რათა დავლაპარაკებოდი ჩემს დაქალს,
თუმცა კი ვგრძნობდი, რომ ეს აუცილებელი იყო.

ჩემი უუნარობა, გამომეთქვა ხმამაღლა საკუთარი აზრები,
შემაძრწუნებლად მომეჩვენა.

21 .

მომავალ დღეს, პირველად მთელს ჩემს მძიმე ცხოვრებაში „ ნორსილორში “ ,
ვერ შევძელი სამსახურში წასვლა.
ეს დღე იყო პირველი დღე ჩემს ცხოვრებაში, როცა სამსახურში ვერ წავედი.
შემაქანა.
შემაქანა ისე, რომ უმოძრაოდ გავქვავდი ჩემი სახლის კიბის უჯრედში
და გაიარა რამდენიმე საათმა,

სანამ ჩემმა დაქალმა არ მიპოვა.

არანორმალური ტკივილი დარბოდა ზურგში, როცა გასაღებს ვატრიალებდი საკეტში. მაგრამ ფიზიკურ ტკივილზე ძლიერი იყო ჩემი უმწეობა.

იმ დღეს საჭირო გახდა ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა, და აზრი იმაზე, რომ შეიძლება მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე უსარგებლო არსებად ვიქცე, არ მტოვებდა მთელი გზა.

მაგრამ იმ დღეს შუადღის შემდეგ კიდევ უფრო დიდი კატასტროფა მოხდა.

22 .

სალამოს ჩემი დაქალი და მისი და ბარში შევიდნენ.

და იქ მათ გაიგონეს,

თითქოს თავში ბომბი აფეთქდა.

მათ ამას ყურადღება არ მიაქციეს,

გადაწყვიტეს, რომ მათ უბრალოდ მოეჩვენათ.

მაგრამ „ნორსილორში“ მართლაც მოხდა აფეთქება.

უშველებელი საამქრო,

ჩემი საამქროს, სადაც სხვათა შორის იმ დღეს მეც უნდა მემუშავა, მეზობლად, აფეთქდა ჯერ დაუდგენელი მიზეზების გამო.

რა საშინელებაა!

სწორედ იმ დღეს, როცა მე პირველად ვერ შევძელი სამსახურში წასვლა.

23 .

დადგა დღე, როცა საავადმყოფოდან გამომწერეს,

სადაც ჯერ კიდევ წევს აფეთქებისგან დაზარალებული ათობით ადამიანი.

მე თავს ძალზე დამნაშავედ ვგრძნობდი.

როგორ აუხსნა, რატომ ვერ შევძელი იმ დღეს სამსახურში მისვლა?

მომხდარი კატასტროფის შემდეგ ყველა დათრგუნული ვიყავით,

და ცხადია, უმუშევრები დავრჩით.

ჩვენს შორის იყო სწორედ ის ქალი,

რემელიც, ჩემი დაქალის თქმით, არ მუშაობდა და ცხოვრობდა ძალზე ლამაზ ბინაში.

ვიმეორებ, რომ პირადად მე ეს მსგავსება არცთუ ძალიან მხვდებოდა თვალში.

არჩევნებში გამარჯვებულმა ჩემი დაქალის ნათესავმა

შემოგვთავაზა შევკრებილიყავით, რათა გაეზიარებინა ჩვენთვის ცნობები საწარმოში მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მან მოიპოვა ზემოთ.

ჩემი დაქალის ნათესავს ძალზე შეწუხებული სახე ჰქონდა.

იგი, ასე სხარტი მეტყველების კაცი, ძლივს წარმოთქვამდა სიტყვებს.

გვაცნობა, რომ მომხდარ კატასტროფას შეიძლებოდა უფრო საშინელი კატასტროფა მოჰყოლოდა.

ის არ არის დარწმუნებული, როგორც თქვა მან, რომ ჩვენი საწარმო ისევ შეძლებს ამოქმედებას,
არა, არ არის დარწმუნებული.

აღმოჩნდა, რომ სადღაც ზევით ვიღაც მოღვაწეებმა,
როგორც ეტყობა, ცხოვრების არმცოდნეებმა,
დაადგინეს,
რომ ჩვენი საწარმო სახიფათოა...

აღმოჩნდა, რომ სხვა პირებიც, განწყობილნი არიან უფრო კრიტიკულად,
ამხილეს ჩვენი საწარმო საეჭვო პროდუქციის წარმოებაში,
მაგალითად პროდუქციის,
რომელიც გამოიყენება მკვლევლობის საშიში ძალის მქონე იარაღის წარმოებაში.

უკაცრავად, მაგრამ ეს ნამდვილად სიცრუეა!

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ არ მოგვიგონებია ომი,
ძალადობა, სისასტიკე.
და არც ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, თუ როგორ იყენებენ ჩვენს პროდუქციას.

რა თქმა უნდა, ჩვენი პროდუქცია საშიშია.
რა თქმა უნდა, მას შეუძლია მოკლას,
ამასთან ყველაზე სასტიკი მეთოდებით,
მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ჩვენ ცხოვრების საშუალებას გვაძლევს.
დღეს მან მოკლა ოთხმოცი ადამიანი,
მაგრამ გამოკვება ოცი ათასი.
აი რას ამბობდა ჩემი დაქალის ნათესავი.

ჩვენ შეძრწუნებულნი ვიყავით.
ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, რომ ჩვენი საწარმო შეიძლება სამუდამოდ დაკეტილიყო.
ჩემი დაქალის ნათესავმა თქვა, რომ იბრძოლებდა.
მან მოგვიწოდა მოგვეკრიფა ყველა ძალა.
ეს იქნება ბრძოლა სიცოცხლისათვის.
ჩვენი სიცოცხლისათვის,
ჩვენი სამუშაოსათვის.

შემდეგ მე ვთქვი, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენ ცხოვრებას სამსახურის გარეშე და ავტირდი.

ჩემი დაქალის ნათესავმა დამამშვიდა.
მან თქვა, რომ სამსახური ყველას ჭირდება,
ყველა ადამიანს ჭირდება სამსახური,
როგორც ჰაერი, რათა ისუნთქოს.
რადგან სამსახურის წართმევა ადამიანისთვის, ეს იგივეა, რომ სუნთქვა აუკრძალო.
რაში გვჭირდება ჩვენ დრო, თქვა მან, თუ კი ის ძირითადად სამსახურით არაა დატვირთული?
ჩვენი დრო სამუშაოს გარეშე არაფერია, ის ჩვენ საერთოდ არ გვჭირდება.

ჩვენ ამას კარგად შევიგრძნობთ მაშინ, როცა აღარ ვმუშაობთ.
ჩვენ სასოწარკვეთაში ვვარდებით.
გვიპყრობს მოწყენილობა.
და ვაავადდებით.
დიახ.
სამუშაო - ეს უფლებაა, მაგრამ ეს მოთხოვნილებაა ყველა ადამიანისთვის.
ეს ისაა,
რითაც ჩვენ ვვაჭრობთ,
ჩვენ ყველანი.
რადგან ამით ვცხოვრობთ.
ჩვენ ვგავართ გამყიდველებს,
მოვაჭრებს.
ჩვენ ვყიდით ჩვენს შრომას.
ჩვენ ვყიდით ჩვენს დროს.
ყველაზე ფასეულს, რაც ჩვენ გაგვაჩნია.
ჩვენი ცხოვრების დროს,
ჩვენი ცხოვრების.
ჩვენ ვართ ჩვენი ცხოვრებით მოვაჭრენი.
აი რა არის მშვენიერი, კეთილშობილური და იმსახურებს პატივისცემას,
აი რა გვამღვებს საშუალებას სიამაყით ჩავიხედოთ სარკეში...

კვლავ გაჩნდა სახეებზე ღიმილი.

მაშინ ქალი, რომლის საქმიანობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით,
ადგა და განაცხადა, რომ იმედი აქვს შემოგვიერთდეს ჩვენ.
იგი, რა თქმა უნდა, არ მუშაობდა „ნორსილორში“ ,
მაგრამ გრძნობდა ჩვენს მიმართ ღრმა სოლიდარობას, როგორც მან თქვა.
ისიც იყო ადამიანი, რომელსაც ქონდა სამსახური,
და ამიტომ გრძნობდა ჩვენდამი სულიერ ნათესაობას.

ჩვენ ყველას გვინდოდა გვეკითხა მისთვის, თუ სახელდობრ რას უწოდებდა თავის
სამუშაოს.

ბოლო რვა წელი დაკავებული იყო პროსტიტუციით, გვითხრა მან.
ის დროებით მოხმარებაში უთმობდა უცხო პირებს საკუთარი სხეულის ნაწილს
ფულის სანაცვლოდ და
რა თქმა უნდა, თვლიდა ამ სამსახურს ჩვეულებრივ სამუშაოდ.
ის არ ყიდდა თავის სულს, როგორც გვარწმუნებდა, ის მხოლოდ აქირავებდა
საკუთარი სხეულის ცალკეულ ნაწილს.
მან გადაიკისკისა.
ეს ყველაზე ჩვეულებრივი ვაჭრობაა.
ის მხოლოდ ცვლიდა საკუთარი სხეულის ნაწილს გამომუშავებულ ფულზე.

ის, ცხადია, არ მიიჩნევდა საკუთარ თავს სხვა ადამიანებზე უფრო შერცხვენილად ან
სექსუალურად დაუკმაყოფილებლად,
არა,

მას თავი ნორმალურ ადამიანად მიაჩნდა, რომელიც ჩვეულებრივ სამუშაოს ასრულებდა, მორჩა და გათავდა.

მას ცოტა გულზე მოეშვა იმის გამო, რომ შეძლო ჩვენთან ერთად განეხილა ყველა ეს საკითხი,

მიიღო რა საშუალება გაეგრძელებინა ცხოვრება და მუშაობა დაფარვის გარეშე.

- და როგორ ბედავთ ამის თქმას, -
აღშფოთდა ვიღაც.

- რა აზრით, - იკითხა მან.

ეს ქალი ცდილობდა ჩავეთრიეთ სკანდალში,
ის დასცინოდა აფეთქების დროს დაღუპულ ადამიანებს.

- როგორ შეეძლო შეედარებინა?

ჩემი დაქალის უფროსმა ვაჟმა ბოლოს და ბოლოს იპოვა სიტყვა, რომ გამოეხატა ის,
რასაც ყველა დანარჩენი გრძნობდა და თქვა,
რომ მისი ადგილი არ იყო ჩვენს გვერდით.

- რატომ, - იკითხა ქალმა.

- იმიტომ, - უპასუხა ჩემი დაქალის ე. წ. უფროსმა შვილმა.

ქალს არ სურდა წასვლა.

მას არ ესმოდა, სხვებისგან განსხვავებით რატომ არ იყო მისი ადგილი აქ,
ჩვენს შორის,
ამ შეკრებაზე...

საბედნიეროდ,

ბოლოს და ბოლოს ის დანებდა.

და მაინც შეკრება დასრულდა შედარებით განსხვავებულ ნოტზე.

24.

იმ დღიდან, რაც ჩვენ შევიტყვეთ ჩვენი საწარმოს მოსალოდნელ საბოლოო
დახურვაზე,

ჩვენ დაგვეუფლა ღრმა სასოწარკვეთა.

უცნაურია,

მაგრამ ყველაზე უფრო განიცდიდა ჩემი დაქალი.

იშვიათად გამოთქვამდა თავის აზრს ხმამაღლა.

ის ამბობდა, რომ მისთვის აუტანელი იყო თვით აზრი ჩვენი საწარმოს დახურვის
შესახებ.

მისი დარდი უნუგეშო იყო,

მიუხედავად გარემომომყოფთა ნუგეშისცემისა.

ყველა ჩვენგანს, რა თქმა უნდა, მისი რეაქცია უცნაურად გვეჩვენებოდა - ჩემი დაქალი
ხომ არ მუშაობდა „ნორსილორში“ .

მთელი ამ გრძელი პერიოდის მანძილზე ჩემმა დაქალმა სრულიად დაივიწყა მის ირგვლივ არსებული რეალობა, რომელსაც ის უფრო მეტად უნდა შეეწუხებინა, ვიდრე ამ კატასტროფას. ახლო მომავალში მას ბინიდან გამოსახლება ელოდა.

გოგონა, რომელსაც ყველა მორცხვად თვლიდა, სულ უფრო და უფრო ხშირად აკითხავდა მას.

ის ამბობდა, რომ სურდა მისი დახმარება უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, რამის მიცემა.

მაგრამ ჩემი დაქალი უარს ამბობდა,

რადგან არ ესმოდა, რატომ იწვოდა ეს გოგო, როგორც ის ამბობდა, მისი დახმარების სურვილით.

ჩვენ, სხვათა შორის, ასევე ვეკითხებოდით ამ გოგოს, რატომ სურდა მას დახმარებოდა ჩემს დაქალს.

მაგრამ ის ამბობდა, რომ არ შეეძლო ამის ახსნა.

მან მართლაც არ იცოდა რა ეპასუხა ჩვენთვის.

ჩემი დაქალის ბინა ძველებურად ცარიელი იყო, და გოგონამ შესთავაზე მიეცა მისთვის ბუფეტი, რომელიც ოდესღაც მის მშობლებს ეკუთვნოდათ.

გოგონამ დიდი გაჭირვებით მიათრია ეს ბუფეტი ჩემი დაქალის ბინამდე.

ამგვარად ცდილობდა იგი გაერთულებინა ამოცანა მათთვის, ვინც მის გამოსახლებას აპირებდა.

იმავე საღამოს ჩემმა დაქალმა მიაშობო, რომ დაინახა ბუფეტზე გარდაცვლილი მამამისი და პირველად ცხოვრებაში მამა გამოჩნდა თვითონ, მისი ძალისხმევის გარეშე.

გვიან ღმართ,

მოხდა კიდევ უფრო დაუჯერებელი მოვლენა.

მოვიდა დედამისი და ალერსით მოეფერა სახეზე.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიდგა იმ ბუფეტის ზედა ნაწილი, რომელიც გოგონას ეკუთვნოდა.

მომდევნო დღეს ჩემმა დაქალმა

გოგოს მიერ მიცემულ ბუფეტზე დაინახა

დედამისი.

25.

მთელი ამ ხნის მანძილზე მე სახლში ვიწექი.

მე და ჩემი დაქალი პირადად აღარ ვურთიერთობდით.

ხანდახან მე ვიგებდი რაღაც სიახალეს მისი ე. წ. უფროსი შვილისაგან.

თავიდან მე ვთხოვე, რომ აღარ მოსულიყო, იმ უცნაური შეგრძნების გამო, რომელიც გამიჩნდა მასთან ურთიერთობისას კატასტროფამდე.

მაგრამ მას ჭირდებოდა ლაპარაკი.

და ცხადია ისიც, რომ მასთანაც ელაპარაკა ვინმეს.

ვადიარებ,
რომ მე ამჯერადაც არ ვიყავი მყარად დარწმუნებული,
მაგრამ შესაძლოა რაღაც,
რაც მე სინამდვილეში არცთუ მთლად ნათლად შევიგრძენი,
ჩვენს შორის მოხდა მაშინ,
ერთერთ ასეთ სადამოს.

26.

მოგვიანებით,
როცა ტკივილი შემიმსუბუქდა,
მე ვთხოვე დაქალს ჩამომყოლოდა ჩვენი სახლის სარდაფში,
რომ მას ბოლოს და ბოლოს გამოეღწია თავისი ბინიდან.
მოვატყუე, რომ დავკარგე ნივთი, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდებოდი.

დერეფანში, რომელიც სარდაფისკენ მიდიოდა,
ჩემმა დაქალმა დაინახა თავისი მშობლები,
და მე მომეჩვენა, რომ მეც დავინახე ისინი.

რამდენადაც შემიძლია თავი დავდო,
მომეჩვენა, თუ როგორ დაიხარა ჩემი დაქალის დედა და რაღაც უჩურჩულა მას
ყურში.
დაქალი ღიმილით მომიბრუნდა, მაგრამ დედამისმა თითი ტუჩზე მიიღო და მკაცრი
ჯესტით უბრძანა გაჩუმებულიყო.

რა იყო ის, რაც მე არ უნდა მცოდნოდა?

27.

ამასთან სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ არ ეწყობოდა.
მიდიოდნენ კვირეები,
ჩვენი საწარმოს საბოლოო დახურვისათვის დაწყებული მოძრაობა კი სულ უფრო მეტ
მხარდამჭერს იძენდა.

ერთ დღესაც პოლიტიკურმა მოღვაწემ განგვიცხადა, რომ სამწუხაროდ თუ ჩვენ
არაფერს მოვიმოქმედებდით,
არაფერს გარდა,
არაფერს გარდა იმისა, რასაც ვაკეთებდით აქამდე,
მაში შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს,
რომ საწარმოს კარი აღარასოდეს გაიღება.
თვითონ ის თითქმის ტიროდა.
საჭიროა რამის გაკეთება, დაამატა მან.

ჩვენ უბრალოდ ჯართში ჩაბარებას გვიპირებდნენ.
ასე იყო გადაწყვეტილი სადღაც იქ,
ზემოთ
და ჩვენ არ ვიცოდით სად.

ჩვენი მესაფლავებებისთვის რომ მოგესმინათ,
ეს ჩვენ ვიყავით მთავარი დამნაშავენი იმაში,
რომ სამყარო უფსკრულისკენ მიექანებოდა,
ხოლო დედამიწაზე იფურჩქნება ძალადობა და ბარბაროსობა.

იმ სადამოს ყველა ფეხს ითრევდა და არ შეგვეძლო დავშლილიყავით.
გვიანი იყო, მაგრამ არავინ ცდილობდა წასვლას.
ჩემს გვერდით ჩემი დაქალი სასოწარკვეთისგან ტიროდა,
მაგრამ მე მგონი მას დედა ამშვიდებდა.

28.

ამაღელვებელი შეკრების მეორე დღეს
ჩემი დაქალის უმცროსი შვილი,
რომელსაც ცხრა წელი შეუსრულდა,
ოცდამეერთე სართულიდან გადმოვარდა.

ის თითქოს შემთხვევით გადმოვარდა
იმ ბინის ფანჯრიდან, რომელშიც დედასთან ერთად ცხოვრობდა.
მაგრამ ყველაზე დაუჯერებელი იყო ის,
რომ ტროტუარიდან ისე წამოდგა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

თითქოს მისი ვარდნა ქარს შეეფერხებინოს ან თითქოს კატა ყოფილიყო.

მორცხვი გოგონა, რომელიც მოწმე გახდა მომხდარის,
ირწმუნებოდა, რომ ბუჩქებმა შეაფერხეს მისი ვარდნა
და ამით იხსნეს მისი სიცოცხლე.

რაც შეეხება ჩემს დაქალს,
ის უცნაურად შეხვდა ამას,
მართლაც რომ უცნაურად.

ჩვენ ეს ყველაფერი შევნიშნეთ,
და როგორღაც ცუდად იმოქმედა ჩვენზე.
ყველა ჩვენგანი ვგრძნობდით რაღაცას, რისი დალაგებით ახსნაც არ შეგვეძლო,
და იმის მაგივრად რომ გაგვხარებოდა ასეთი იღბლიანი დასასრული,
ყველანი უცნაურად გაოგნებულნი ვიყავით.

ნუთუ მან ვერ შეამჩნია, რომ მისი ბავშვი ფანჯარაში გადაძვრა და სიცარიელეში
დაეკიდა?
ნუთუ მან მართლაც ვერაფერი დაინახა?

მორცხვი გოგონა ცდილობდა დაეცვა ჩემი დაქალი, რამეთუ ის ძლივს პოულობდა
სიტყვებს.
გოგონამ გვთხოვა კიდევ რომ თავი დაგვენებებინა მისთვის.
- და დაანებეთ თავი, - თქვა მან.

ამ წამს საშინლად გაფითრებული ჩემი დაქალი წამოდგა
და სამარისებურ სიჩუმეში წარმოთქვა სიტყვები, რომელსაც ვისურვებდი არ
გამეგონა,
არასოდეს გამეგინა მის ბაგეთაგან.

ის ადგა და მშვიდად განაცხადა, რომ თავად უბიძგა ხელი თავის შვილს,
თავად,
დიახ.

ის ნანობდა კიდეც, რომ იგი საღსალამათი გადარჩა,
რადგან, როგორც მან თქვა,
სხვა რამ სურდა,
სხვა რამ.
მას სურდა სრულიად სხვა რამ.
მას უყვარდა თავისი შვილი,
ცხადია, უყვარდა,
მაგრამ მან ეს გააკეთა.
მან ეს გააკეთა.
მან ხელი კრა საკუთარ შვილს,
რომ გადავარდნილიყო სიცარიელეში,
ოცდამეერთე სართულის სიმაღლიდან...

29 .

რა თქმა უნდა ჩვენ არ შეგვეძლო ასე უბრალოდ დავშლილიყავით იმ საღამოს.
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო დავგეტოვებინა ჩემი დაქალი
ბავშვთან ერთად მარტო.
საჭირო იყო პოლიციაში გაცხადება?
ჩვენ ვერაფრით გადავწყვიტეთ რა მოგვემოქმედებინა.

- შეუძლია კი მას ახსნას თავისი ქმედება, - იკითხა ვილაცამ.
მან არ იცოდა.

მან თქვა, რომ უბრალოდ იცოდა, რომ ამის გაკეთება საჭირო იყო და მორჩა...

- დედა არ კლავს თავის შვილს უმიზეზოდ, - თქვა კიდეც ვილაცამ.

ის ფიქრობდა, რომ მისი შვილი სიკვდილის შემდეგ უფრო ბედნიერი გახდებოდა.
მე, ალბათ ვიყავი ერთადერთი, ვინც თუნდაც ნაწილობრივ გაიგო რა ჰქონდა
მხედველობაში მას.

მან თქვა, რომ გააკეთა ის, რაც გააკეთა, რათა ხელი შეეშალა ჩვენი საწარმოს
დაკეტვისათვის.

მას უთხრეს გაეკეთებინა ეს

და მან გააკეთა.

მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ სამყარო რომელშიც ვცხოვრობთ, ნამდვილი
არაა.

მაგრამ შეგუება და გულხელის დაკრეფა მას არ შეეძლო.

მან თქვა: ხო, მე მესმის, უცნაურია რამის გაკეთება მსგავს შემთხვევაში,
მაგრამ დღევანდელ დღეს
მდგომარეობა ძალზე მძიმეა.

და ისევ

მე, რა თქმა უნდა, ვიყავი ერთადერთი, ვინც მიახლოებით მაინც მიხვდა, რაზეც
ლაპარაკობდა ჩემი დაქალი,
ხაზს ვუსვამ - მიახლოებით.

- მაგრამ როგორ უნდა შეეშალა ხელი საკუთარი შვილის მკვლელობით საწარმოს
დახურვისათვის?

მან იცოდა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, რადგან მას უთხრეს ამის შესახებ.

- ვინ უთხრა ეს?

- მისმა მშობლებმა...

მისი გარდაცვლილი მშობლები ეხლა მუდმივად ელაპარაკებოდნენ მას,
განსაკუთრებით დედა...

მისი და შეძრწუნებული იყო.

- და რა უთხრა მან მას?

მან უთხრა, რომ საწარმოს დახურვას შეიძლება ხელი შეუშალო მხოლოდ იმის
ჩადენით,

რისი გაკეთებაც მან სცადა..

მისი და ადგა და გავიდა ოთახიდან.

- არ მესმის, - ჩაილაპარაკა ვიღაცამ, - რატომ უნდა იცოდნენ მისმა მშობლებმა ის, რაც
არავინ არ იცის.

- იმიტომ რომ ისინი იმყოფებიან ჭეშმარიტ სამყაროში, ისინი ხომ გარდაიცვალნენ, -
უპადასუხა ჩემმა დაქალმა, -

მაშასადამე ისინი ყოველთვის სიმართლეს ამბობენ.

- ე. ი. თუ შენ გთხოვენ გადაადგო ფანჯრიდან საკუთარი შვილი, შენ ისე გააკეთებ
ამას, რომ არავითარ ახსნა-განმარტებას არ მოითხოვ?

- დიახ, - თქვა ჩემმა დაქალმა, -

რასაც ჩემი მშობლები ამბობენ, ხომ უეჭველი სიმართლეა.

მან ისიც მოგვიყვა, როგორ ეცხადებოდნენ მიცვალებულები.

მოყოლის დროს მე შემომხედა

და მე გავწითლდი.

მომეჩვენა, რომ თვალის ჩამიკრა,

სანამ თხრობას გააგრძელებდა.

ჩემი დაქალის თავდაჯერება გაოგნებდა.

ის ძალზე მშვიდი იყო,

თითქმის აუღელვებელი.

მე მშურდა მისი,

მშურდა მისი მუდმივი თავდაჯერების.

ჩამოწვა ხანგრძლივი მდუმარება.

თანდათან ყველამ წამოშლა დაიწყო,
ალბათ იგრძნეს ფეხის გამლის აუცილებლობა,
რადგან ყველას დაუბუჟდა ფეხები,
რომ აღარაფერი ვთქვათ ყურებზე.
ჩვენ ხომ უკვე რამდენიმე საათი ვისხედით.
ერთნი ითხოვდნენ გაგვეცხადებინა მასზე პოლიციაში,
მეორენი ამბობდნენ, რომ ჯერ უნდა წაგვეერთმია მისთვის ბავშვი.
ჩვენ ყველანი ძალზე დავიღალეთ
და სულის სიღრმემდე შეძრულნი ვიყავით.
ამას გარდა, ვაღიარებ, ყველა ჩვენგანს გვინდოდა დავშლილიყავით,
უბრალოდ წავსულიყავით სახლებში.

ჩემი დაქალის დამ უკანასკნელად სცადა დაერწმუნებინა ბიჭი წასულიყო მასთან ერთად,
ის მხოლოდ ტიროდა.
და ჩემი დაქალიც არ უშვებდა მას.
ჩემი დაქალის ე. წ. შვილმა შემოგვთავაზა მიეხედა ბავშვისთვის.
- ნუ ნერვიულობთ, - თქვა მან.
ამან, როგორც მგონია, ცოტა დაგვამშვიდა.

სანამ წამოვიდოდით და დავტოვებდით ბავშვს ღამით,
ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ დაგვესვა ჩემი დაქალისათვის უკანასკნელი კითხვა,
და იქ უკვე გამოჩნდებოდა.

ჩვენ მოვუწოდეთ მას, კარგად დაფიქრებულიყო,
მართლაც სჯეროდა თუ არა იმის,
რომ ბავშვის მკვლელობას
შეუძლია ხელი შეუშალოს „ნორსილორის“ დახურვას?
ასე.
ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რას იტყოდა ის საბოლოოდ,
ყოველ შემთხვევაში, იმ საღამოს ჩვენ გვანტერესებდა მისი პასუხი ამ ორ
შეკითხვაზე.

თავიდან ის დიდხანს დუმდა.

შემდეგ თქვა:

- „ნუ ნერვიულობთ.
- ეს აღარ განმეორდება,
- შეგიძლიათ სახლებში წახვიდეთ.“
- მაგრამ შენ აღიარებ მაინც,
- რომ ამ საღამოს შენს მიერ თქმული - ყველაფერი სისულელეა,
- ბოდვა,
- უაზრობა,
- შენ ამას აღიარებ?
- დიახ.
- შენ აღიარებ ამას?
- დიახ, ვაღიარებ.

და მაშინ ყველამ გადაწყვიტა,
რომ შეიძლება სახლებში წასვლა.

30 .

იმ ღამით დამესიზმრა, თითქოს ისევ ვმუშაობდი,
თითქოს საწარმო ისევ გაიხსნა.

მუშაობისას დაუსრულებლად ვფიქრობდი იმაზე,
რაც ჩემმა დაქალმა ჩაიდინა,
მის საქციელზე,
რომელიც სამწუხაროდ სიზმარი არ იყო.

დაბნეული ვიყავი.

მე ხომ ვესალმებოდი მათ,
ჩემი დაქალის მშობლებს.
მეც ხომ შევეხე რეალობას, რაზეც ლაპარაკობდა ჩემი დაქალი?

იმ ღამით, სიზმარში, შევეცადე მთელი არსებით ჩავძირულიყავი სამუშაოში,
ოღონდაც არ მეფიქრა, არ მეფიქრა ყველაფერ ამაზე.

31.

შემდეგ დადგა დღე,
როცა ჩვენი პოლიტიკოსის სახის გამომეტყველებით
ჩვენ მივხვდით, რომ რაღაც ძალზე სერიოზული მოხდა.

მან თქვა,

- ყველაფერი დასრულდა, მეგობრებო,
ყველაფერი დამთავრად,
მორჩა და გათავდა, ძალიან ვწუხვარ.
გადაწყვეტილება „ნორსილორის“ დახურვის შესახებ მიღებულია
და გადაწყვეტილება საბოლოოა.

მე დავინახე, ჩემი დაქალი, რომელიც ჩემთან ერთად იყო, როგორ გავიდა,
სწრაფი ნაბიჯით გავიდა ბარიდან.

მე, მის შემყურეს, ცხადია, ეჭვი უნდა შემპარვოდა რაღაც ცუდში.

32 .

ნახრევარი საათის შემდეგ
ჩვენ გავიგონეთ ყვირილი ქუჩაში,
და აქ, ბარში შემოვიდა ჩემი დაქალის ბიძა
და უბრალოდ გვითხრა:

- „ მან შვილი მოკლა.

ამჯერად გამოუვიდა.

მე ხომ გაფრთხილებდით. “

33.

სასწრაფოდ გამოიძახეს პოლიცია.
შემრწუნების მიუხედავად,
ჩვენ მაინც შევთავაზეთ,
რომ თვითონ ავიდოდით ჩემს დაქალთან,
რომელიც ჯერ კიდევ საკუთარ ბინაში იყო.
არა, ეს არც ისე მარტივი იყო.
და გაგრძელდა უსასრულოთ,
სანამ არ დავარწმუნეთ რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო.

34 .

უცბათ მთელს ქვეყანაში მხოლოდ ერთზე ალაპარაკდნენ:
- ჩემს დაქალზე.
იმ ქალზე, რომელმაც საკუთარი შვილი მოკლა,
რადგან, მისივე აღიარებით, იტანჯებოდა, რადგან არ იცოდა
როგორ შეეჩერებინა ტრაგედია - საწარმოს დახურვა,
საწარმო „ნორსილორის“ , - რის შედეგადაც ათასობით ადამიანი უმუშევარი
დარჩებოდა.
სწორედ ეს დაამახსოვრდა ხალხს.

ყველა გაოგნებული იყო.
შემრწუნებული.
შემრული ჩემი დაქალის საქციელით.
შვილის მკვლეელი დედით.
მაგრამ ახლა ხალხი ხვდებოდა,
რომ არსებობდა კიდევ ერთი ტრაგედია,
რომელმაც უბიძგა მას ამ საქციელისკენ, -
„ნორსილორის“ დახურვა.

უნდა ითქვას, რომ აქამდე არავინს, ჩვენი რაიონის მაცხოვრებლების გარდა,
მაინცდამაინც არ აწუხებდა საწარმოს დაკეტვა.
მაგრამ ეხლა,
ჩემი დაქალის სასოწარკვეთილი, როგორც ისინი უწოდებდნენ, საქციელის შემდეგ,
ხალხში მღელვარება დაიწყო,
ძლიერი მღელვარება.

მოდოდნენ ტელევიზიებიდან, იღებდნენ ჩემი დაქალის ბინას,
განსაკუთრებით ფანჯარას,
ფანჯარას, საიდანაც მან საკუთარი შვილი გადმოაგდო.
იღებდნენ სიცარიელეს ოცდამეერთე სართული სიმაღლიდან.
იღებდნენ ქვევიდანაც, ტროტუარიდან.
იღებდნენ ფანჯარას ქვემოდან.
იღებდნენ მანქანას, რომელზედაც ბავშვი დაეცა.

იღებდნენ მისი დაცემის კვალს, ასე ვთქვას, ანაბეჭდს, რომელიც ბავშვის დავარდნისას დარჩა.

იღებდნენ ყველაფერს.

გვიღებდნენ ჩვენ, რომლებიც ფანჯარას შევცქეროდით.

გვიღებდნენ ჩვენ, რომლებიც ჩვენი ბინების ფანჯრებიდან იმ ფანჯარას ვუყურებდით.

ბოლოს გვიღებდნენ ჩვენ სახლში ვახშობისას, მაშინ როდესაც აზრობრივად ჩვენ ვიდექით ფანჯარასთან, რომლიდანაც ჩემმა დაქალმა ბავშვი გადმოაგდო.

ამ ყველაფრის შემდეგ

გაზეთები და ვიღაც-ვიღაცეები მოსახლეობიდან

ალაპარაკდნენ, რომ საერთოდ შეიძლება გასაგები იყოს სასოწარკვეთამდე მიყვანილი ადამიანის ასეთი ქცევა.

და აი მაშინ,

მთელს ქვეყანაში ხალხი ისევ ალაპარაკდა იმაზე, თუ რა გახდა ჩვენი საწარმოს დახურვის მიზეზი.

მთელი ქვეყანა გამალებით განიხილავდა მომხდარს.

ხალხი ამბობდა, რომ სურს გაიგოს რა მოხდა სინამდვილეში.

უკვე აღარავის ახსოვდა რატომ დაიხურა იგი.

მაგრამ ყველა უკიდურეს უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

ამ ისტორიამ მართლაც დიდი ხმაური გამოიწვია.

შემდეგ დღეებში

რაიონის სამხედრო თვითმფრინავებმა დაიწყეს

მრავალრიცხოვანი გამოსაცდელი ფრენების შესრულება

პირდაპირ ჩვენს თავზე.

იმ დღეს მე მივედი მენახა, როგორ გამოჰქონდათ ნივთები ჩემი დაქალის ბინიდან, ბინიდან, რომელის აღწერეს და გაყიდეს, რათა დაეფარათ მისი უსაშველოდ დიდი ვალები.

35.

ეს ყველაფერი ზუსტად ათ დღეს გაგრძელდა.

ადამიანის სიცოცხლის ზუსტად ათი დღე დასჭირდა იმას, რომ ისევ დამდგარიყო ეჭვქვეშ ჩვენი საწარმოს დახურვის გადაწყვეტილება.

ათი დღის შემდეგ ჩემი დაქალის საქციელიდან და ჩვენი არმიის მობილიზაციის გამოცხადებამდე ცოტათი ადრე

ჩვენ გავიგეთ,

რომ ჩემი დაქალის საქციელით გამოწვეულმა მღელვარებამ,

მღელვარების ამ ქარიშხალმა,

აიძულა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები დაფიქრებულიყვნენ

და შეეცვალათ პირველადი გადაწყვეტილება.

ჩვენ განგვიცხადეს,
რომ რაღაც დროის,
შესაძლოა ძალზე მოკლე დროის შემდეგაც
საწარმო „ ნორსილორი “
განაახლებს თავის ფუნქციონირებას.
იმ დღეს მოგვიხდა შევგუებოდით იმ აზრს, რომ ჩემი დაქალის საქციელმა,
რომელმაც სულის სიღრმემდე შეგვძრა,
ამ საშინელმა საქციელმა - საკუთარი შვილის მკვლელობამ, - თავისი ნაყოფი გამოიღო.
მისი წყალობით, როგორც იგი ირწმუნებოდა არაჩვეულებრივი თავდაჯერებით,
კრიზისი გადალახული იქნა და ჩვენი სამუშაო ადგილები გადარჩა.
როგორ არ უნდა გაგვხარებოდა ეს?

იმავე დღეს შემთხვევით
ახალი ამბების გამოშვებიდან ჩვენ შევიტყვეთ
კიდევ ერთი მოვლენის შესახებ.

ტელევიზორის ხმა : - „ დღეს დილით, ოთხ საათსა და ოცდარვა წუთზე, ჩვენი
არმიის ცხრამეტმა „ მირაჟმა “ სამხედრო ბაზიდან მოხსნა ვერბონ-სიუპ-კონი... ოთხ
საათსა და ორმოც წუთზე „ მირაჟებმა “ განახორციელეს ობიექტების შემოფრენა. ოთხ
საათსა და ორმოცდათერთმეტ წუთზე ჩამოგდებული იქნა ბომბები, რომლებმაც
პირველი ნგრევა გამოიწვიეს. მსხვერპლის რიცხვი დგინდება... “

36 .

ვერავინ შეამჩნია როგორ გაიარა დრომ.
ჩვენ ყველა ერთად შევიკრიბეთ,
რათა გვეზეიმა ხვალისთვის დანიშნული
„ ნორსილორის “ გახსნა.
პოლიტიკური მოღვაწეც,
რომელსაც არცთუ ცოტა ბრძოლა მოუხად,
ჩვენთან იმყოფებოდა.

ეს იყო არაჩვეულებრივი
და მაინც ცოტათი უცნაური საღამო.
ჩვენ ყველანი ჩემს დაქალზე ვფიქრობდით.
მან, ვისაც ჩვენ ძველებურად ვიცნობდით როგორც მის ე. წ. შვილს,
განაცხადა, რომ არ დაბრუნდებოდა „ ნორსილორში “ .
ის აპირებდა ჯარში დასაქმებას.
მან ასეც თქვა:
- ჯარში დასაქმება.

37 .

მომდევნო დღე დღესასწაულს გავდა.
როცა მე საწარმოში შევედი,
ტირილი მომინდა.
მიბრუნდებოდნენ ყველა ნაცნობი შეგრძნებები.

მეგონა, თითქოს შინ დავბრუნდი.

აქ ყველაფერი აღდგენილი იყო.
კატასტროფის კვალიც არ ჩანდა.
თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.
ჩვენ ძველ ადგილებს დავუბრუნდით.

მაგრამ ვერ მოვასწარი სამუშაოს დაწყება,
რომ ვიგრძენი რაღაც მემართებოდა.
ჩემში თითქოს ყველაფერი გაჩერდა.
მე აღარ მქონდა ენერჯია.
აღარ მქონდა ძალა.
ისეთი სისუსტე შევიგრძენი,
იძულებული გავხდი ჩამოვმჯდარიყავი.
ეს ნამდვილად საშინელება იყო.
ანალიზებზე გამაგზავნეს.

რამდენიმე დღეში გაირკვა,
რომ ბავშვს ველოდი.
უკვე რამდენიმე თვის ფეხმძიმე ვიყავი.
ბავშვს?!
მე?!
როგორ მოხდა?
რა მოხდა?
რა ჩავიდინე ასეთი, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდი?
რა საშინელებაა!

ყველაზე ცუდი, ცხადია,
იყო ის, რომ მე არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული,
მე არ ვიყავი წესიერად დარწმუნებული იმაში, რომ მართლაც ჩავიდინე რაღაც ისეთი,
რაც ყველა ქალმა უნდა გაიაროს,
რათა მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

არა.
დღესაც კი არ შემოდლია ამაზე ლაპარაკი დარწმუნებით,
არა, არ შემოდლია,
და ეს ალბათ
ყველაზე საშიშია.

38.

ჩემი დაქალი მოათავსეს დახურულ დაწესებულებაში,
ძალიან შორს იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ცხოვრობდით.

ერთხელ ვიღაცამ გადაწყვიტა,
რომ სულაც არ იქნებოდა ცუდი
წავსულიყავით ყველანი ერთად მის სანახავად,

მოსანახულებლად.

დერეფანში შევეჯახეთ იმას, ვისაც მთელი ეს თვეები ვეძებდით მის ე. წ. უფროს შვილს ან შვილს ბრჭყალებში, ის მასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა, რადგან, როგორც გვითხრა, მიემგზავრებოდა.

და მაინც, ჩვენი შეხვედრა სასიამოვნო იყო. ჩემს დაქალს, ეტყობა გაეხარდა ჩვენი დანახვა. მე, ცხადია, არაფერი მითქვამს მისთვის ჩემი მდგომარეობის შესახებ. წამოსვლისას მან მე მითხრა, ბედნიერია რომ ჩაიდინა ის რაც ჩაიდინა, ბედნიერია რომ საკუთარ თავს მოუსმინა. მან მითხრა, რომ ღებულობს დიდი რაოდენობით თანადგომის წერილებს და მადლობისასაც კი. მაგრამ მან თქვა, რომ აღიარება არ ჭირდება, ის ისედაც კარგად არის.

ჩვენი წამოსვლის შემდეგ, მორცხვი გოგონა, რომელიც ჩვენთან ერთად მოვიდა, ცოტა ხნით მასთან მარტო დარჩა.

რაზე ილაპარაკეს, ჩვენთვის უცნობია. ჩვენ არ ვიცოდით რისი თქმა უნდოდა მისთვის ამ გოგოს, რისი თქმა სჭირდებოდა, რისი თქმა უნდოდა ჩემი დაქალისთვის.

39 .

მაგრამ რამდენიმე დღეში, ჩემს დაქალთან შეხვედრის შემდეგ გოგონამ ეტყობა მოიწყინა, და თვითმკვლელობა სცადა, საბედნიეროდ არ გამოუვიდა.

მეორე დღეს, ისევ იმ სასოწარკვეთის გამო, გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და აღიარა ქალების სერიული მკვლელობა, რომელიც ცოტა ხნით ადრე მოედო ჩვენს რაიონს და დიდი ხმაური გამოიწვია. არ ვიცი რატომ, მაგრამ დაუჯერეს. პირადად მე მგონია, რომ ის გავდა ყველას, გარდა მკვლელისა.

40.

აი მე კი, მე დავუბრუნდი სამსახურს.

ვმუშაობდი.
ბედნიერი ვიყავი.
ჩემი ზურგის ტკივილი სავსებით დაცხრა.
მე ხშირად ვფიქრობ ჩემს დაქალზე.
ის წერილებს მწერს.

მე დავუმეგობრდი იმ ქალს,
რომელსაც ჩემი დაქალი, რომელიც ხშირად ხედავდა ადამიანებს შორის მსგავსებას,
თავის თავს ამგვანებდა.
ეს ქალი მოვიდა სამუშაოდ ჩემს საამქროში,
ჩემს გვერდით სამუშაო ადგილას
და ჩვენ ნამდვილად კარგად გვესმის ერთმანეთის.
ნუთუ ჩვენ ასე ძლიერ სამუშაო გვაკავშირებს?
არ ვიცი...

თარგმანი მაია შენგელიასი

ყოელ პომრა

თანამედროვე ფრანგი დრამატურგი. მისი თეატრის მთავარი თემაა თანამედროვე ლიბერალური საზოგადოება და ის მიერ წარმოქმნილი სიტუაციები, რომლებიც გამოიხატება ოჯახურ და პიროვნულ ურთიერთობებში. ერთი კონკრეტული მოვლენის ფონზე ის აჩვენებს უმუშევრობით დასწავლული საზოგადოების ტრაგედიას. ყოველგვარი იდეოლოგიის გარეშე აღწერს გადატანილ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწორედ ამით არის პოპულარული.